გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-04-24 **24 ივლისი, 20-- წელი**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის შემადგენლობა:

თავმჯდომარე - თეა ძიმისტარაშვილი (მომხსენებელი)
მოსამართლეები - მირანდა ერემაძეა
გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ნ--ა გ--ე /სიითი №1---/
წარმომადგენლები: ლ--ა ზ--ი, მ--ა ძ--ი, მ--ა ბ--ე

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ- ხ--ი, რ- ც--ე

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 20-- წლის 8 აპრილის №0----- გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 202- წლის 28 მაისს საჩივრით მიმართეს ადვოკატებმა დ--ა მ--ა და თ--ა ქ--ემ და მოითხოვეს ადვოკატ ნ--ა გ--ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ დ--ა მ--ის პრეტენზიების ნაწილში შეწყდა დისციპლინური წარმოება.

ადვოკატ თ–ა ქ--ის საჩივრის თანახმად, ნ-–ა გ--ემ გააყალბა თ–ა ქ--ის ხელმოწერა, შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია და მიაყენა შეურაცხყოფა, კერძოდ, ნ-–ა გ--ემ ხუთ სხვადასხვა უწყებაში შეიტანა საჩივარი ადვოკატ თ-–ა ქ--ის სახელით ადვოკატების - დ--ა მ---სა და რ-- ჩ--ის მიმართ, რაც დასტურდება საქართველოს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 23 სექტემბრის N5--------- დასკვნით. დასკვნის თანახმად, საჩივრებზე არსებული ხელმოწერები ეკუთვნის არა თ-–ა ქ--ეს, არამედ ადვოკატ ნ-–ა გ--ეს. საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ-–ა გ--ის მხრიდან განხორციელებულმა უკანონო ქმედებამ მიაყენა რეპუტაციული ზიანი, ვინაიდან ამავე პერიოდში ის კენჭს იყრიდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს არჩევნებში, რაზედაც აღნიშნულმა ფაქტმა უარყოფითი გავლენა მოახდინა. ამასთან, ადვოკატებმა - დ--ა მ--მ და რ- ჩ--ემ უკმაყოფილება გამოთქვეს მის მიმართ და თავდაპირველად სარწმუნოდ მიიჩნიეს, რომ ადვოკატმა თ-–ა ქ--ემ მათ მიმართ საქართველოს პროკურატურაში წარადგინა საჩივარი.

ეთიკის კომისიის სხდომები მიმდინარეობდა დისტანციურად. ადვოკატ ნ-–ა გ--ის წარმომადგენელი ადვოკატი თ- ს--ძე ესწრებოდა 20-- წლის 27 მარტისა და 20-- წლის 22 იანვრის ეთიკის კომისიის სხდომებს; 20-- წლის 29 იანვრის სხდომას ესწრებოდა ადვოკატი ნ-–ა გ--ე, წარმომადგენლებთან: ადვოკატ თ-- ს--ძესთან, ადვოკატ მ--ბ ცუ--ან, ადვოკატ მ--ა ძ–თან და ადვოკატ ლ--ა ზ-–თან ერთად; 20-- წლის 19 თებერვლის სხდომას ესწრებოდნენ ადვოკატ ნ-–ა გ--ის წარმომადგენლები: ადვოკატი თ-- ს-ძე, ადვოკატი ლე-ჭ-–ძე და ადვოკატი ლ-ა ზ–ი; 20-- წლის 1 აპრილის სხდომას ესწრებოდნენ ადვოკატ ნ-–ა გ--ის წარმომადგენლები: ადვოკატი თ-- ს--ძე და ადვოკატი ლ--ა ზ-–ი; 20-- წლის 8 აპრილის ეთიკის კომისიის სხდომას ესწრებოდა ადვოკატი ნ-–ა გ--ე, წარმომადგენლებთან: ადვოკატ თ-- ს--ძესთან, ადვოკატ ლ--ა ზ-–თან, ადვოკატ მ--ა ძა-–თან და ადვოკატ ლ-- ჭ-–ძესთან ერთად.

ადვოკატმა ნ-–ა გ--ემ ეთიკის კომისიას 2022 წლის 1 დეკემბერს წარუდგინა ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ თ-–ა ქ-–ის ქმედებიდან გამომდინარე ბრალდებულად არის ცნობილი საქმეში, სადაც მას უნდა ჰქონდეს დაზარალებულის სტატუსი. ადვოკატის განმარტებით, მართალია ერთ ხელმოწერაზე ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ იგი ეკუთვნის ნ-–ა გ--ეს, თუმცა ცნობილია, რომ ექსპერტიზის დასკვნა საქმის გარემოებათა გამოსაკვლევად და დასადგენად არ არის საკმარისი და ფაქტის დადგენა სხვა გარემოებითაც უნდა მოხდეს, რადგან ხელწერის ექსპერტიზა არ არის ზუსტი მეცნიერება. ადვოკატების - რ-- ჩ--ისა და დ--ა მ--ს მისგან ჩამოცილება შედიოდა თ–ა ქ--ის ინტერესში, რომელსაც არ აწყობდა ნ-–ა გ--ის მიმართ უკანონო ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში მისი ინტერესების დაცვა. ამ გზით აიძულეს მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი რ-- ჩ--ე, რომ გასულიყო საქმიდან. თ–ა ქ--ე დღესაც ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ადვოკატ ლ-- ჭ-–ძეზე, რომ ისიც გავიდეს საქმიდან. ნ-–ა გ--ემ განმარტა, რომ ადვოკატ თ–ა ქ--ის მიმართ მასაც გააჩნია პრეტენზია, გამყარებული მტკიცებულებებით, თუმცა ეთიკის კომისიამ თ-–ა ქ--ის მიმართ არ დაიწყო დისციპლინური დევნა.

ეთიკის კომისიის სხდომებზე ადვოკატ ნ--–ა გ--ის წარმომადგენელმა ადვოკატმა თ--ს--ძემ დამატებით განმარტა, რომ საჩივრის ავტორს სადავო ფაქტთან დაკავშირებით სრულყოფილად არ აქვს წარმოდგენილი განცხადებები, რომლებზეც აფუძნებს პრეტენზიას. მომჩივანმა ეთიკის კომისიას წარუდგინა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე წარდგენილი განცხადების პირველი გვერდი, ხოლო მოგვიანებით - აღნიშნული განცხადება სრული ტექსტით. განცხადების მეორე გვერდი საერთოდ ხელმოუწერელია. თ-- ს--ძის განცხადებით, მხარისათვის უცნობია რა დოკუმენტზე ჩატარდა ექსპერტიზა, რომლითაც საჩივრის ავტორი საკუთარ პოზიციას ამყარებს, შესაბამისად, კომისიამ არ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის შინაარსი.

ეთიკის კომისიის 27.03.20--წ. სხდომაზე ადვოკატმა ნ--–ა გ--ემ იშუამდგომლა კომისიის წევრების: კ--ე გ--ის, ე--ე გ--ის, ე--ე მ--ის, მ--ა ა--ის, მ--ე ც--ის, ანა კ--ის, ო-- კ--ის, ა-აა ხ--ის, ი--ა ბ--ის და ა--ა ლ--ას აცილებაზე იმ მიზეზით, რომ კომისიის წევრები მის მიმართ არიან მიკერძოებულები, ვინაიდან, როგორც მიმდინარე, ისე სხვა საქმეებზე მის მიმართ აღძრეს დისციპლინური დევნა. ადვოკატმა დააზუსტა, რომ კ--ნე გ--ის მიმართ მას სხვა საფუძვლითაც აქვს აცილება და განმარტა, რომ წარსულში კ--ნე გ--ი წარმოადგენდა მის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოში და ეთიკის კომისიაშიც, სადაც ადვოკატი ნ–ა გ--ე ადვოკატ კონსტანტინე გელაშვილის წინააღმდეგ იცავდა მომჩივან ტ--ა ს--ას ინტერესებს. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა ადვოკატ ნ--–ა გ--ის შუამდგომლობები ეთიკის კომისიის წევრების აცილების თაობაზე დაუსაბუთებლობის გამო. კომისიის განმარტებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ კომისიის წევრები ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას ან რომელიმე მათგანი როგორც ადვოკატი, წარსულში სხვა საქმეზე წარმოადგენდა ნ–ა გ--ის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს, არ არის საკმარისი საფუძველი კომისიის წევრის აცილებისთვის. აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატმა ნ–ა გ--ემ იშუამდგომლა ეთიკის კომისიის იმ წევრების (ი--ა ნ--ძე, მ--ა ნ--ძე, ბ-- ბ--ი, ბ-- ქ--ე, ნ--ა ჩ--ი) აცილებაზეც, რომლებიც საქმისწარმოების მიმდინარე ეტაპზე არ იღებდნენ მონაწილეობას დისციპლინური საქმის (N0-----) განხილვაში.

ეთიკის კომისიის 29.01.20--წ. სხდომაზე ნ–ა გ--ის წარმომადგენელმა ადვოკატმა თ--ს--ძემ იშუამდგომლა ეთიკის კომისიის სხდომის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ოფისში ჩატარებაზე, რაც არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო. ამავე სხდომაზე ადვოკატმა თ-- ს--ძემ იშუამდგომლა, რომ ეთიკის კომისიას ადვოკატ თ–ა ქ--ისათვის დაევალებინა გარკვეული დოკუმენტების, მათ შორის სადავო განცხადებების წარმოდგენა, რაც ეთიკის კომისიის მიერ არ დაკმაყოფილდა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების“ შესახებ დებულების 17.1 მუხლის შესაბამისად. ადვოკატმა თ-- ს--ემ იშუამდგომლა საგამოძიებო ორგანოდან სადავო დედანი დოკუმენტის გამოთხოვაზე, რაც არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის დედნების ეთიკის კომისიისათვის გადაცემას. ადვოკატმა თ-- ს--მ განმარტა, რომ

დისციპლინური საქმე N----- არ არის ეთიკის კომისიის განსჯადი და იშუამდგომლა წარმოების შეწყვეტაზე, რაც ასევე არ დაკმაყოფილდა, ადვოკატს განემარტა, რომ შუამდგომლობა შეეხება პროფესიული ეთიკის სტანდარტის სავარაუდო დარღვევას, რაზეც მსჯელობს ეთიკის კომისია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 28.10 მუხლის შესაბამისად.

ეთიკის კომისიის პირველმა საპროცესო კოლეგიამ 2022 წლის 9 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ––ა გ--ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე დადგინდა, რომ ადვოკატმა ნ––ა გ--მ თ–ა ქ--ს სახელით ხელი მოაწერა საჩივრებს, რომლებიც წარადგინა საქართველოს პროკურატურაში. შესაბამისად, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და 10.1 მუხლები.

ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინური კოლეგიის 20-- წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას. განხილვის კოლეგიამ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად მიიჩნია, რომ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული გადაცდომა თავისი შინაარსით იმდენად მძიმეა, რომ ადვოკატის მხრიდან ამ გადაცდომების სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატის მიმართ სახდელის სახით შესაძლოა გამოყენებულიყო გაფრთხილებაზე მეტი - განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ **დადგენილად მიიჩნია** შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი თ–ა ქ--ე წარმოადგენს დაზარალებული მხარის ადვოკატს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მოსამართლე ლ. ჩ--ე) მიმდინარე საქმეში, სადაც ბრალდებულია ადვოკატი ნ–ა გ--ე.

ადვოკატ თ–ა ქ--ს სახელით საქართველოს მთავარი პროკურორისა და საქართველოს შსს მინისტრის სახელზე წარდგენილი იყო საჩივარი ადვოკატების: დ--ა მ--სა და რ-- ჩ--ს მიმართ.

ადვოკატი თ–ა ქ--ე დაზარალებულად არის ცნობილი სისხლის სამართლის საქმეზე N------ - ყალბი დოკუმენტის დამზადება, შენახვა, გამოყენების მიზნით და გამოყენების ფაქტზე.

სისხლის სამართლის საქმეზე N-------- შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-3 განყოფილების უბნის ინსპექტორ-

გამომძიებლის თ-- ხ--ს 01.09.20--წ. (რეგ. N--) დადგენილების საფუძველზე, საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე თ-–ა ქ--ს სახელით გაგზავნილ განცხადებაზე ჩატარდა დოკუმენტის ტექნიკური ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზა. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა გაეგზავნა ინსპექტორ-გამომძიებელ თ-- ხ--ს.

მხარეთა შორის **სადავოა** 2017 წლის 20 ოქტომბრის თარიღით საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე შედგენილ საჩივარზე თ–ა ქ--ს სახელით შესრულებული ხელმოწერა ეკუთვნის თუ არა ადვოკატ ნ–ა გ--ს.

ადვოკატმა თ–ა ქ--მ, ეთიკის კომისიაში წარადგინა პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ნ–ა გ--მ მისი სახელით მოაწერა ხელი განცხადებებს და წარადგინა ისინი სხვადასხვა ორგანოებში. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად თ–ა ქ--მ წარადგინა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 23.09.20--წ. ექსპერტიზის დასკვნა N------ და 11.01.20--წ. N--- დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული პრეტენზიების საწინააღმდეგოდ, ადვოკატმა ნ–ა გ--მ განმარტა, რომ ის არ არის ბრალდებულად ცნობილი სისხლის სამართლის საქმეში N------ და მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნა ვერ გამოდგება სადავო ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად, ფაქტის დადგენა სხვა მტკიცებულებითაც უნდა მოხდეს, რადგან ხელწერის ექსპერტიზა არ არის ზუსტი მეცნიერება. ნ–ა გ--მ ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარუდგენია იმ განცხადების დედანი ან სრულყოფილი ასლი, რომელზეც ხელმოწერა იყო გაყალბებული.

ეთიკის კომისიამ შეაფასა სადავო ფაქტის მტკიცების ტვირთი და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარმოუდგინოს საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები.

ეთიკის კომისიამ შეაფასა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დისციპლინურ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები. სადავო ფაქტის დასადასტურებლად, ადვოკატმა თ–ა ქ--მ გარდა ახსნა-განმარტებისა, ეთიკის კომისიაში წარადგინა სისხლის სამართლის საქმეზე N-------, 11.01.20--წ. N------- დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ, სოციალური ქსელის „ფეისბუქ“-ის პოსტი, სადაც თ–ა ქ--მ საჯაროდ დაწერა სადავო ფაქტზე, რომელსაც არ შეწინააღმდეგებიან ის ადვოკატები, რომელთა მიმართაც შედგენილია სადავო განცხადება და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 23.09.20--წ. დოკუმენტების ტექნიკური, ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზის N------- დასკვნა, სადაც მითითებულია: „ხელმოწერა თ–ა ქ--ს სახელით, განლაგებული 2017 წლის 20 ოქტომბრის თარიღით საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე შედგენილ საჩივარზე, მეორე გვერდზე,

გრაფაში: „ადვოკატი თ-– ქ--ე“ შესრულებულია არა თ-–ა ქ--ს, არა ჯ-– ხ–-ს, არამედ შესრულებულია ნ-–ა გ--ს მიერ“.

მტკიცებულებების გამოკვლევისას ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატ ნ-–ა გ--ს პოზიცია, რომ ექსპერტიზის დასკვნა არ წარმოადგენს ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებას. კომისიამ ასევე არ გაიზიარა მოპასუხე მხარის პოზიცია, რომლის მიხედვითაც ფაქტის დასადგენად არასაკმარისი იყო მტკიცებულებები, ვინაიდან მომჩივანს არ წარმოუდგენია ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული განცხადების დედანი ან ასლი. კომისიამ განმარტა, რომ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა შესრულებულია ნეიტრალური ექსპერტის მიერ, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, ცოდნა და უნარები. ექსპერტიზა დანიშნულია კანონის შესაბამისად და დასკვნა შეიცავს კანონით გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ ელემენტს. ამავდროულად, ექსპერტიზის დასკვნაში გარკვევით არის მითითებული ის ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც გამოიკვლია ექსპერტმა. მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ დასკვნა დაერთო სისხლის სამართლის საქმეს. შესაბამისად, კომისიის შეფასებით, არ არსებობს ექსპერტიზის დასკვნის - როგორც მტკიცებულების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი. გადაწყვეტილების თანახმად, თავად მოპასუხე ადვოკატს დისციპლინური საქმისწარმოების პროცესში გარდა ახსნა-განმარტებისა, არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რაც ეთიკის კომისიას სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დაარწმუნებდა, რომ მოპასუხე ადვოკატს ხელი არ მოუწერია საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე ადვოკატ თ–ა ქ--ს სახელით წარდგნილ განცხადებაზე.

მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ 2017 წლის 20 ოქტომბრის თარიღით საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე შედგენილ საჩივარზე ადვოკატ თ-–ა ქ--ს ნაცვლად ხელი მოაწერა ადვოკატმა ნ–ა გ--მ, შესაბამისად, კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ-–ა გ--ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა, ადვოკატის მიერ დარღვეულია **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და 10.1 მუხლები.**

დისციპლინურ საქმეზე №---- დადგინდა ადვოკატ ნ-–ა გ--ს /სიითი N1---/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ადვოკატს დისციპლინური სახდელის ფორმად განესაზღვრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერება 3 (სამი) წლის ვადით.

გადაწყვეტილებას ერთვის კომისიის წევრების: ე--ე გ--ა და მ--ე ც--ს განსხვავებული მოსაზრებები.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 20-- წლის 8 აპრილის №--- გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, კანონით დადგენილ ვადაში, გაასაჩივრა ადვოკატმა ნ-–ა გ--მ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორის განცხადებით, გადაწყვეტილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი. ეთიკის კომისია გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს და კომპეტენციას, განიხილა საჩივარი, რომლის შინაარსი და თანდართული ე.წ. მტკიცებულებები არ განეკუთვნება ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

ადვოკატი ნ––ა გ--ე მიუთითებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიის მიერ არ იქნა გათვალისწინებული მის მიერ წარდგენილი წერილობითი მოსაზრებები, შუამდგომლობები და მოთხოვნები, კომისიას არ ჰქონდა შესწავლილი საქმის მასალები, არ გააჩნდა მტკიცებულებები, რაზეც მსჯელობდა და დაამყარა გადაწყვეტილება, არ მიეცა შეფასება როგორც საქმეში არსებულ მასალებს, ისე ადვოკატისა და მისი წარმომადგენლების პოზიციას. საჩივრის მიხედვით, ეთიკის კომისია ჩაერია გამოძიებისა და სასამართლოს კომპეტენციაში, საქმეში არ არის რაიმე სახის მტკიცებულება რომელიც დაადასტურებს დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობას, დოკუმენტის სიყალბის ფაქტი არც სასამართლოს გადაწყვეტილებით და არც განაჩენით არ არის დადასტურებული, არ არსებობს არც ბრალის დადგენილება, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება დედნის, ან ასლის სახით, რომელზეც ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა ხელმოწერის გაყალბების ფაქტი, ხოლო საქმეში დაცულ, თ–ა ქ--ს სახელით შექმნილი წერილის ასლზე, რომლის ადრესატია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, საერთოდ არ არის დაფიქსირებული ხელმოწერა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ეთიკის კომისიის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტები, რომლის თანახმადაც ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: ა) საჩივარის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში; ზ) საჩივარი არ შეიცავს ამ დებულებით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს.

ადვოკატი ნ––ა გ--ე ასევე მიუთითებს, რომ ვინაიდან ეთიკის კომისიის რამდენიმე წევრთან ჰქონდა დაპირისპირება, წარადგინა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ მისი საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიეღოთ ეთიკის კომისიის წევრებს - ადვოკატებს: კ--ე გ--ს, ქ-- უ--ს, მ--ა ნ-ს. საჩივრის ავტორის მითითებით, მ--ა ნ--ე იყო თ–ა ქუ--ს ადვოკატი, მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირი და ადვოკატ ნ––ა გ---ესთან აქვს კონფლიქტი 2006 წლიდან, ასევე, ადვოკატის განცხადებით, მასთან 2020 წლიდან დაპირისპირებულია ადვოკატი კ---ე გ---ი, შესაბამისად, საჩივრის ავტორი მიუთითებს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-11 მუხლით გათვალისწინებულ აცილების საფუძვლებზე.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ ეთიკის კომისიის როგორც საპროცესო, ასევე განხილვის ეტაპი წარიმართა საპროცესო ნორმების დარღვევებით, უგულებელყოფილი იქნა როგორც ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ნორმები, რაც მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობაა.

ადვოკატი ნ-–ა გ--ე მიიჩნევს, რომ მთავარ პროკურატურაში, შინაგან საქმეთა სამინისტროში და სხვა უწყებებში გაგზავნილი საჩივრები დ--ა მ--ა და რ-- ჩ--ს მისამართით, შედგენილია თავად თ–ა ქ--ს მიერ, ვინაიდან აღნიშნული ადვოკატები ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე იცავდნენ ადვოკატ ნ–ა გ--ს ინტერესებს და თ–ა ქ--ს მიზანი იყო მითითებული ადვოკატების დაპირისპირება ნ-–ა გ--ესთან, რათა აღარ გაეგრძელებინათ სისხლის სამართლის საქმეზე ნ–ა გ--ს ინტერესების დაცვა.

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის ეთიკის კომისიის მიერ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს და მიუთითებს, რომ კომისიამ ისე დააკისრა მას მის მიმართ არსებული პრეტენზიების გამაქარწყლებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, რომ თავად ეთიკის კომისიას არ შეუკრებია საქმეზე დამაჯერებელ და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს დაადასტურებდა. ადვოკატი ნ–ა გ--ე მიუთითებს, რომ დისციპლინური წარმოების ვერც ერთ ეტაპზე რელევანტური მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ დადასტურდა მის მიერ ხელმოწერის გაყალბების ფაქტი. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა ეთიკის კომისიაში საქმის განხილვა წარიმართა საკანონმდებლო ნორმების მოთხოვნათა უგულებეყოფით და მიღებული გადაწყვეტილება არ არის კანონიერი და დასაბუთებული.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ეთიკის კომისიის მიერ ისე ხდებოდა საქმის წარმოების შეჩერება, განახლება და სხვა რიგი საპროცესო მოქმედებები, რომ მისთვის უცნობი იყო აღნიშნულის თაობაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისთვის ასევე უცნობი იყო ეთიკის კომისიის 09.09.2022წ. გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე კ--ე გ--ი და მიუთითებს, რომ ვერ მიიღებს ადვოკატ ნ–ა გო--ს მიმართ წარმოებული დისციპლინური საქმეების: 0--/2-, 0--/2- და 0----- საპროცესო წესით განხილვაში „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების „ე“ ქვეპუნქტის თანახმად (არსებობს სხვა გარემოებები, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუშლის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას) თვითაცილების საფუძვლის არსებობის მოტივით. აღნიშნულის შესახებ ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, თუმცა იგი აყენებდა შუამდგომლობას საქმის განხილვიდან კომისიის წევრების, მათ შორის კონსტანტინე გელაშვილის აცილების თაობაზე, რაც ეთიკის კომისიის მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

ადვოკატი ასევე მიუთითებს, რომ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის მიერ 12.10.20--წ., 01.11.20--წ., 11.11.20--წ. და 25.11.20--წ. სხდომები ჩატარდა კანონდარღვევით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის, დებულებისა და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის ნორმათა უგულებელყოფით, ვინაიდან კომისიისათვის წინასწარ ცნობილი იყო, რომ ამავე დღეებში ნ–ა გ--ს ჰქონდა სასამართლო პროცესები, რის შესახებაც წარდგენილი ჰქონდა შესაბამისი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნული არ იქნა გათვალისწინებული მიზანმიმართულად.

საჩივრის ავტორის მითითებით, მისი მოთხოვნა - სხდომები ჩატარებულიყო ცოცხალ რეჟიმში, არ იქნა გათვალისწინებული და საპროცესო კოლეგიის, განხილვის კოლეგიისა და ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის სხდომები წარიმართა დისტანციურად, „ზუმის“ პროგრამის მეშვეობით, რის გამოც საჩივრის ავტორის განცხადებით ირღვეოდა კონფიდენციალურობა და უშუალობის პრინციპი.

საჩივრის თანახმად, ადვოკატმა ნ-–ა გ--მ შუამდგომლობა დააყენა ასევე კომისიის წევრის - მ-- ნ--ს აცილების მოთხოვნით, რომელთანაც დაპირისპირებულია 2006 წლიდან, ასევე წარადგინა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა, რომ აღნიშნული პირი იყო თ–ა ქ--ს ახლო მეგობარი და დამცველი ადვოკატი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, თუმცა შუამდგომლობა აცილების თაობაზე არ იქნა დაკმაყოფილებული და შუამდგომლობის დაყენების გამო მ-- ნ--ემ გააძევა იგი ონლაინ სხდომიდან, რის შემდეგაც მიიღო გადაწყვეტილება საქმის ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობისათვის გადაცემის თაობაზე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მიუთითა, რომ გადაწყვეტილება არის კანონიერი, დასაბუთებული და მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ნ-–ა გ--ს საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; უნდა გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 20--წლის 8 აპრილის №0----- გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ეთიკის კომისიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა პირველ რიგში მიუთითებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: კანონიერება; სამართლის უზენაესობა და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელება; პროფესიული კომპეტენტურობა; ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა; საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა; ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა; საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა; ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და

თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა; ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა და ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა. ამავე კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5–მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს.

განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის კანონიერება. ამ მხრივ კი, უმნიშვნელოვანესია, შეფასდეს, როგორც საქმის განხილვის პროცესში პროცედურული დარღვევების არსებობის ფაქტი, კერძოდ, ჰქონდა თუ არა ადგილი პროცესუალურ დარღვევებს ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვისას, საპროცესო და განხილვის ეტაპებზე. პალატის მიერ განსახილველ საკითხს წარმოადგენს ასევე მტკიცების ტვირთის გადანაწილება მხარეთა შორის, და არსებობდა თუ არა საკმარისი საფუძველი და მტკიცებულებათა ერთობლიობა ადვოკატ ნ–ა გ--ის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტის დასადასტურებლად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59]-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით. ამავე კანონის 75[63]-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ; ხოლო 75[67] მუხლის თანახმად კი სადისციპლინო პალატა იღებს გადაწყვეტილებას სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ, თუ: ა) საქმე განიხილა სადისციპლინო კოლეგიის არაკანონიერმა შემადგენლობამ; ბ) სადისციპლინო კოლეგიამ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ ეცნობა სხდომის თაობაზე; გ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დაირღვა პროცესის კონფიდენციალურობის წესები; დ) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ან დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; ე) გადაწყვეტილება ხელმოუწერელია სხდომის თავმჯდომარის ან მდივნის მიერ; ვ) საქმეში არ არის სადისციპლინო კოლეგიის სხდომის ოქმი.

მოცემულ შემთხვევაში ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი თ–ა ქ--ე წარმოადგენს დაზარალებული მხარის ადვოკატს თბილისის

საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მოსამართლე ლ–- ჩ--ე) მიმდინარე საქმეში, სადაც ბრალდებულია ადვოკატი ნ–-ა გ--ე.

ადვოკატ თ–-ა ქ--ის სახელით საქართველოს მთავარი პროკურორისა და საქართველოს შსს მინისტრის სახელზე წარდგენილი იყო საჩივარი ადვოკატების: დ--ა მ--ა და რ- ჩ--ს მიმართ.

ადვოკატი თ–-ა ქ--ე დაზარალებულად არის ცნობილი სისხლის სამართლის საქმეზე N----- ყალბი დოკუმენტის დამზადება, შენახვა, გამოყენების მიზნით და გამოყენების ფაქტზე.

სისხლის სამართლის საქმეზე N----- შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-3 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თ-- ხ--ის 01.09.20--წ. (რეგ. N1-------) დადგენილების საფუძველზე, საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე თ–ა ქ--ის სახელით გაგზავნილ განცხადებაზე ჩატარდა დოკუმენტის ტექნიკური ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზა. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა გაეგზავნა ინსპექტორ-გამომძიებელ თ-- ხ--ეს.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 23.09.20-- წლის N------- დოკუმენტების ტექნიკური, ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომლის თანახმად, „ხელმოწერა თ–ა ქ--ის სახელით, განლაგებული 2017 წლის 20 ოქტომბრის თარიღით საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე შედგენილ საჩივარზე, მეორე გვერდზე, გრაფაში: „ადვოკატი თ– ქ--ე“ შესრულებულია არა თ–-ა ქ--ის, არა ჯ–- ხ–-ს, არამედ შესრულებულია ნ–-ა გო--ის მიერ“ - კომისიამ ასევე დადგენილად მიიჩნია სადავო ფაქტობრივი გარემოება, რომ ადვოკატმა ნ–-ა გ--ემ კოლეგის - თ–ა ქ--ის სახელით ხელი მოაწერა 2017 წლის 20 ოქტომბრის თარიღით საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე შედგენილ საჩივარს და საჩივარი წარადგინა საქართველოს პროკურატურაში, რის გამოც, კომისიის შეფასებით ადვოკატ ნ–ა გ--ის მიერ დარღვეულია **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები** *(ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;)*, **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი** *(ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები)* **და მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილი** *(ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას).*

სადისციპლინო პალატა მიუთითებს მოცემული დისციპლინური საქმის ეთიკის კომისიაში ხელახლა განსახილველად დაბრუნების ძირითად საფუძველზე, რასაც წარმოადგენს მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევები, კერძოდ:

სადისციპლინო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის იმ შემადგენლობაზე, რომელმაც მიიღო მონაწილეობა მოცემული დავის

განხილვაში და ადვოკატ ნ–ა გ--ის მიმართ დისციპლინური სახდელის ფორმად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერება განსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, ყოველი საქმე განხილულ უნდა იქნას კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. როგორც აღინიშნა, სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად განხილვის პრინციპი და შესაბამისად, გარკვეული წინაპირობების არსებობისას საქმის აცილების ვალდებულება, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო უფლების შემადგენელ ელემენტს. სწორედ აცილების ინსტიტუტი ემსახურება დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებას და იგი სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 35-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ადვოკატისათვის დისციპლინური სახდელის დადების საკითხს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია თავის სხდომაზე განიხილავს კოლეგიურად, 3 წევრის შემადგენლობით, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხს ეთიკის კომისია განიხილავს არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით. აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ეთიკის კომისიის არანაკლებ 8 წევრის ხმა. განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში იგი დაერთვის გადაწყვეტილებას. აქვე, პალატა ყურადღებას გაამახვილებს “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონსა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ და „ე“ პუნქტებზე, რომელთა თანახმად, დისციპლინურ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ეთიკის კომისიის ის წევრი, რომელიც სახელშეკრულებო ან პირად ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე მხარესთან ან მის წარმომადგენელთან; არსებობს სხვა გარემოებები, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუშლის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეთიკის კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება ამ მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნული რომელიმე გარემოების არსებობისას.

საქმის მასალებში დაცულია სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის თავმჯდომარის - კ--ე გ--ის 2022 წლის 09 სექტემბრის №--/22 გადაწყვეტილება თვითაცილების შესახებ, შემდეგი შინაარსით - „პირველი დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარე კ--ე გ--ი ვერ მივიღებ მონაწილეობას დისციპლინური საქმეების №0--/2-, №0--/2- და №0----- საპროცესო წესით განხილვაში „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის

„ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, თვითაცილებიდან გამომდინარე.“ აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით, კონსტანტინე გელაშვილის ნაცვლად კოლეგიის ალტერნატიულ წევრად დაინიშნა მ--ე ც--ძე (ტომი 1, ს.ფ. 88).

ამგვარად, დადგენილია, რომ ნ–ა გ--ის დისციპლინური საქმის განხილვისას, დისციპლინური წარმოების აღძვრის ეტაპზე, პირველი დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ კ--ე გ--ა მიიღო თვითცილების გადაწყვეტილება. მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებისა, კ--ე გ--მა მონაწილეობა მიიღო კომისიის თავმჯდომარის სტატუსით დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც სადისციპლინო პალატის მოსაზრებით დაუშვებელია და ეწინააღმდეგება როგორც საპროცესო კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებს.

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ აცილება შეუქცევადი პროცესია. აცილების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დაუშვებელია გადაწყვეტილების მიმღები პირის მონაწილეობა იმავე საქმის განხილვაში მომდევნო ან ნებისმიერ ეტაპზე. იმ პირობებში, როდესაც კომისიის თავმჯდომარემ თავად მიიღო გადაწყვეტილება თვითაცილების საკითხის დაყენების (თავად ჩათვალა რომ არსებობდა გარემოებები, რომელიც საქმეზე არ არის დაკონკრეტებული, დაზუსტებული და რომელსაც შესაძლოა ეჭვქვეშ დაეყენებინა მისი ობიექტურობა და მიუკერძოებლობა) და საქმის განხილვიდან აცილების თაობაზე, დაუშვებელი იყო მისი მონაწილეობა იმავე დისციპლინური საქმის (№---) განხილვის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული კი ადასტურებს უხეში პროცესუალური დარღვევით დისციპლინური განხილვის წარმართვის ფაქტს, რაც სავალდებულოდ იწვევს განსახილველ საქმეზე მიღებული დოკუმენტის გაუქმებას.

საქმეში ასევე წარმოდგენილია დისციპლინური პასუხისგებაში მიცემული პირის არაერთი განცხადება-შუამდგომლობა ეთიკის კომისიის წევრის - ადვოკატ მ--ა ნ--ს საქმის განხილვიდან აცილების მოთხოვნით, რომლის საფუძვლად მითითებულია ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტი შესაბამისი დასაბუთებით, რომ მ--ა ნ--ე წარმოადგენდა თ–ა ქ--ის ადვოკატს ეთიკის კომისიაში ადვოკატ ნ–ა გ--ის წინააღმდეგ. აცილების შესახებ შუამდგომლობაში ასევე მითითებულია ადვოკატ ნ-–ა გ--ესა და მ--ა ნ--ს შორის მრავალი წლის განმავლობაში არსებულ უთანხმოებასა და დაპირისპირებაზე და მ--ა ნ--სა და ადვოკატ თ-–ა ქ--ეს შორის არსებულ ახლო მეგობრულ ურთიერთობაზე, რომელიც შესაძლოა ქმნიდეს ვარაუდს საქმის განხილვის პროცესში მის მიკერძოებასთან დაკავშირებით, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, არ დაკმაყოფილდა ადვოკატ ნ-–ა გ--ს შუამდგომლობა მ--ა ნ--ს აცილებასთან დაკავშირებით, აღნიშნული გარემოებაც, სადისციპლინო პალატის მოსაზრებით ასევე წინააღმდეგობაში მოდის სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.

სადიციპლინო, პალატა, საქართველოს კონსტიტუციის, ეროვნული

კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებისა და ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, განმარტავს, რომ საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის უფლება, ფართო ინტერპრეტაციას ექვემდებარება და თავის თავში მოიცავს საქმის განხილვისას ყველა იმ გონივრული ეჭვის გაქარწყლების აუცილებლობას, რომელმაც საშუალო წინდახედულობის ადამიანში შეიძლება გამოიწვიოს საქმის განმხილველი ორგანოს მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. პრეცედენტული სამართლის თანახმად, „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება: პირველი - სასამართლო (მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაზე ასევე ვრცელდება აღნიშნული სტანდარტი) სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან; მეორე - იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. "გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ", 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 1030-31, §58; "მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ", №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. "ჰაუსშიდტი დანიის წინააღმდეგ", 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 2-, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X, "CASE OF GALSTYAN v. ARMENIA", საჩივრის №26986/03) ამასთან, სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამს სამართლიანი სასამართლოსადმი მიმართვის უფლების გამორჩეულ ადგილს დემოკრატიულ საზოგადოებაში (სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ, [დიდი პალატა], 2012, § 231; აირეი ირლანდიის წინააღმდეგ, 1979, § 24). ეს გარანტია „არის ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი კონვენციის მნიშვნელობით“ (პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ, 1983, § 21).

მოხმობილი საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიუბრუნდება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ და „ე“ პუნქტებს და ამავე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლითაც გათვალისწინებულია კომისიის წევრის აცილების/თვითაცილების ინსტიტუტი.

შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმის განმხილველი შემადგენლობის აცილების საფუძვლები პირობითად შეიძლება დავყოთ ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებად, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც უტყუარად დგინდება მიკერძოების, თუნდაც სუბიექტური წინაპირობის არსებობა, გადაწყვეტილების მიმღები პირი ყოველთვისაა ვალდებული, განაცხადოს თვითაცილება, მიუხედავად იმისა, მხარე გამოხატავს თუ არა უნდობლობას მის მიმართ. აცილების საკითხის განხილვისას უფრო მნიშვნელოვან გარანტიებს აწესებს ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა. იმ საქმეების უდიდეს უმრავლესობაზე, რომლებიც მიკერძოებულობის საკითხს ეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აქცენტს სწორედ ობიექტურობის ტესტზე აკეთებს. ობიექტურობის ტესტით უნდა

დადგინდეს, თუ რამდენად აქვს ადგილი დადასტურებად ფაქტებს მოსამართლის ქცევისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ეჭვს ბადებს ამ უკანასკნელის მიუკერძოებლობაში. იმის გადასაწყვეტად, არსებობს თუ არა კონკრეტულ საქმეში ლეგიტიმური ეჭვი მოსამართლის ან საქმის განმხილველი ორგანოს მიუკერძოებლობის თაობაზე, მოცემული პირის პოზიცია არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, თუ რამდენად არის პირის ეჭვი მიკერძოების შესახებ ობიექტურად გამართლებადი, ანუ რამდენად აქვს მას შიშის საფუძველი (იხ. "ვეტსტაინი შვეიცარიის" წინააღმდეგ, ECHR 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება; "მიქალეფი მალტის წინააღმდეგ", ECHR 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება; "პადოვანი იტალიის წინააღმდეგ", ECHR 1993 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება; "პესკადორ ვალერო ესპანეთის წინააღმდეგ", ECHR 2003 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება).

სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუკერძოებლობის შესახებ მოთხოვნა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს სუბიექტური თვალსაზრისით, ანუ სასამართლოს არცერთ წევრს არ უნდა ჰქონდეს პირადი მიკერძოება ან წინასწარ შექმნილი წარმოდგენა. პირადი მიუკერძოებლობა იგულისხმება, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო მტკიცებულებები; მეორე, რომ სასამართლო მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ უნდა უზრუნველყოფდეს საკმარის გარანტიებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს რაიმე ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამ კრიტერიუმის თანახმად, აუცილებელია, განისაზღვროს, მოსამართლის ქცევისაგან სრულიად დამოუკიდებლად არსებობს თუ არა სარწმუნო ფაქტები, რომლებიც მის მიუკერძოებლობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა. (სუსგ №ას-74-2023 5 აპრილი).

მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ არსებობდა მ-ა- ნ--ს აცილების წინაპირობები, ამასთანავე, ადვოკატი ნ-–ა გ--ც მიუთითებდა საქმის განხილვიდან მისი აცილების აუცილებლობასთან დაკავშირებით, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, არ იქნა გათვალისწინებული არც საკანონმდებლო დანაწესი და არც მხარის მოთხოვნა და საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო არაკანონიერმა შემადგენლობამ, რომლის კონკრეტული წევრების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობდა კითხვის ნიშნები.

სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის შედავებას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტიზის დასკვნა არ არის საკმარისი მტკიცებულება და დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის დადგენისათვის აუცილებელია არსებობდეს ბრალის წარდგენის დადგენილება, ან/და დოკუმენტის სიყალბის ფაქტი აუცილებლად სასამართლოს გადაწყვეტილებით /განჩინებით უნდა იყოს დადასტურებული.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მტკიცების სტანდარტები ერთმანეთისაგან გამიჯნულია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 24.09.2010წ. კანონით სსკ-ის 106-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების თანახმად სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელ აქტს არ აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა, ცვლილება განიცადა აგრეთვე სსკ-ის 279-ე მუხლის „დ“

ქვეპუნქტმა, რის შედეგადაც სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების შეჩერების სავალდებულო საფუძველს აღარ წარმოადგენს საქმის სისხლის სამართლის წესით განხილვა, თუმცა დაშვებულია მისი მტკიცებულებად გამოყენება, ამასთანავე, ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოს იურისდიქცია არ გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი ორგანოების კომპეტენციაში ინტერვენციას, მათი განსჯადი საქმეების განხილვას, მით უფრო, რომ სისხლის სამართლებრივი იურისდიქცია დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და სასჯელის გამოყენების საკითხზე სრული და განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ვინაიდან სისხლის სამართალწარმოების ფუნქცია ყველაზე მეტად ხელშესახებია პირის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ (სუსგ 16.05.2023წ. საქმე №ბს-1315(კ-20)).

სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი აქტის არარსებობა თავისთავად არ ნიშნავს სარჩელის აღძვრის შეუძლებლობას, ასეთი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსათუოდ უარის თქმას, ვინაიდან კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობისა და პირის დამნაშავედ მიჩნევის დადასტურება მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტს მოითხოვს (სუსგ 18.03.2024წ. საქმე №ბს-575 (კ-23)) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობები უკავშირდება დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო ინდივიდის დასჯას, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივის აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა იწვევს განსხვავებულ მტკიცების სტანდარტის გამოყენებას ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე, შესაბამისად, არ არის გამორიცხული განსხვავებული შედეგების დადგომა სხვადასხვა სამართალწარმოების ფარგლებში (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“, §87).

სადისციპლინო პალატა კვლავ აღნიშნავს, რომ სამოქალაქო/ადმინისტრაციული წარმოება არ არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე პრეიუდიციული ძალით, ისევე როგორც სისხლის სამართლის სამართალწარმოება - სამოქალაქო/ადმინისტრაციული საქმის შედეგზე, ამასთან, პრეიუდიციული ძალის არქონა არ გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღებისა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერებით შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

ზოგადი წესის თანახმად, მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე, შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის

წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი - ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64).

პალატა განმარტავს, რომ ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს საკმარის საფუძველს ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების უგულებელყოფის ფაქტის დასადასტურებლად, თუ საქმეში არ არის წარმოდგენილი აღნიშნულის გამაბათილებელი, კანონით დადგენილი წესით მოპოვებული, იგივე ძალის მქონე შესაბამის მტკიცებულება ან მტკიცებულებათა ერთობლიობა, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის მითითება, რომ დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის დადგენისათვის აუცილებელია არსებობდეს ბრალის დადგენილება, ანდა დოკუმენტის სიყალბის ფაქტი აუცილებლად სასამართლოს გადაწყვეტილებით/განჩინებით უნდა იყოს დადასტურებული.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 23.09.2020 წლის N005671620 დოკუმენტების ტექნიკური, ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზის დასკვნის დასტურდება, რომ „ხელმოწერა თ–ა ქ--ის სახელით, განლაგებული 2017 წლის 20 ოქტომბრის თარიღით საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე შედგენილ საჩივარზე, მეორე გვერდზე, გრაფაში: „ადვოკატი თ-– ქ--ე“ შესრულებულია არა თ–ა ქ--ის, არა ჯ-– ხ–-ს, არამედ შესრულებულია ნ–ა გ--ის მიერ“ - აღნიშნული დასკვნის გამაქარწყლებელი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ეთიკის კომისია უფლებამოსილია, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შეაფასოს ნ–ა გ--ის მიერ ადგილი ჰქონდა თუ არა ისეთ გადაცდომას, რომელიც დაკვალიფირდება **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების** *(ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;)*, **ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის** *(ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები)* **და მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის** *(ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას)* **შესაბამისად.**

აქვე, სადისციპლინო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ეთიკის კომისიის განმარტებაზე (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების 8.10 პუნქტი), რომლის თანახმად, „მით უფრო მძიმეა ნ-–ა გ--ის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგინდა, რომ ნ-–ა გ--ის მიერ ადვოკატ თ-–ა ქ--ის სახელით შედგენილი საჩივარი მიემართებოდა სხვა კოლეგებს. აღნიშნული ფაქტი გადაცდომას, მისი შინაარსის და კონტექსტის გათვალისწინებით, უფრო მეტად ამძიმებს და საჩივრის ავტორის ინტერესისათვის და ზოგადად პროფესიისათვის მეტად საზიანოდ აქცევს“. მოცემულ შემთხვევაში, პალატა იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ეთიკის კომისიას არ ჰქონდა წარდგენილი

საკმარისი მტკიცებულებები ასეთი დასკვნის გასაკეთებლად. სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეზე ერთ-ერთ მტკიცებულებებს წარმოადგენს ადვოკატ თ–ა ქ--ის სახელით შედგენილი კონკრეტული განცხადებები/საჩივრები შსს მინისტრისა და მთავარი პროკურორის სახელზე. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს შსს მინისტრის სახელზე ადვოკატ თ–ა ქ--ის სახელით შედგენილი საჩივრის მხოლოდ პირველი გვერდის ასლი (ტომი I, ს.ფ. 17; ასევე ტომი II ს.ფ.133) და საჩივრის ასლი სრულად (ტომი I, ს.ფ.256-257, ტომი II, ს.ფ. 169-170) რომელზეც ხელმოწერა საერთოდ არ ფიქსირდება. ხოლო რაც შეეხება საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე თ–ა ქ--ის სახელით შედგენილ საჩივარს, რომლის საფუძველზეც დადგენილად იქნა მიჩნეული ადვოკატ ნ–ა გ--ის მიერ ადვოკატ თ-–ა ქ--ის ხელმოწერის გაყალბების ფაქტი, საქმის მასალებში მითითებული დოკუმენტი ან მისი ასლი წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ამ **დოკუმენტის შინაარსის გაურკვევლობის პირობებში, დაუსაბუთებელია ადვოკატთა ეთიკის კომისიის შეფასება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ნ-–ა გ--ის მიერ ადვოკატ თ-–ა ქ--ის სახელით შედგენილი საჩივარი მიემართებოდა სხვა კოლეგებს.**

რაც შეეხება ადვოკატის უკმაყოფილებას ეთიკის კომისიის სხდომების დისტანციურ რეჟიმში ჩატარებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, საქმისწარმოების დისტანციურ ფორმატს არაერთი დადებითი მხარე აქვს, როგორებიცაა - უსაფრთხო გარემო, მხარეთა დროისა და რესურსის დაზოგვა, ნებისმიერი ადგილიდან პროცესის ხელმისაწვდომობა და ა. შ. რაც ასევე ფართოდ დანერგილი პრაქტიკაა საერთო სასამართლოების სისტემაში, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის პრეტენზია აღნიშნულთან დაკავშირებით და სადისციპლინო პალატა მას ვერ გაიზიარებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ ადვოკატ ნ-–ა გ--ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 8 აპრილის №---- გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ეთიკის კომისიას.

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, 75[67] მუხლით და

გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ–ა გ--ის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 8 აპრილის №--- გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ეთიკის კომისიას;
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **თეა ძიმისტარაშვილი**

მოსამართლეები: **მირანდა ერემაძე**

გოჩა აბუსერიძე